

ხელშეკრულება № 3/3504/81  
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

„26“ „12“ 2014 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მინისტრის მოადგილის დავით ლომიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ: შპს „მედმენი“ მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ეკატერინე კობახიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“).

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №116 დადგენილების (ცვლილება N674, 2014 წლის 10 დეკემბერი) და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა დაბა ხარაგაულის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოებისათვის სრული საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურებაზე (CPV კოდი 71320000 – საინჟინრო-საპროექტო მომსახურება), რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია 30000 (ოცდაათი ათასი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. საპროექტო ობიექტი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: დაბა ხარაგაული, გაიოზ დევდარიანის ქ. N8 მიმდებარე ტერიტორია, ნაკვეთის ფართობი შეადგენს 4204,17 მ<sup>2</sup>-ს.

3.2 დაბა ხარაგაულის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს საპროექტო-სახარჯთაღიფხვო დოკუმენტაცია კომპლექსურად უნდა იყოს შერწყმული ემერჯენსის შენობასთან, რომელიც განთავსებული იქნება 1941 მ<sup>2</sup> ნაკვეთზე, განაშენიანების ფართი 430მ<sup>2</sup>.

3.2. „მიმწოდებელის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადება შესრულდება 3.1. პუნქტში მითითებულ ობიექტზე დანართ №1-ში ჩამოთვლილი მომსახურების შესაბამისად.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

4.1. მიმწოდებელი მომსახურებას განახორციელებს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 30 მარტის ჩათვლით.

4.2. მომსახურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1 და დანართი N2 შესაბამისად.

4.3. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სრულად იქნება დაცული საავტორო უფლებები.

5. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების პირობები

5.1. მომსახურების სრული ღირებულება შეადგენს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს.

5.2. ხელშეკრულების ღირებულება უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

5.3. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

5.4. ანგარიშსწორება განხორციელდება 100%-იანი წინასწარი ანგარიშსწორებით, შესაბამისი საბანკო/სადაზღვევო გარანტიის საფუძველზე.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელშეკრულების მე-15 პუნქტით განსაზღვრული დონისძიებების შემდგომ ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა სრულად უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

## 7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- უზრუნველყოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს მომსახურების გაწევა და მისი დამთავრება დადგენილ ვადებში.
- მომსახურების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
- შეასრულოს სამუშაო ქვეყანაში მოქმედი და აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; სამუშაო განახორციელოს მაღალკვალიფიციურ დონეზე, ეთიკური და პროფესიული ნორმების დაცვით.
- ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მითითების შესაბამისად, მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე, თუ ეს ცვლილება არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს.
- უზრუნველყოს საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა.
- განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- ხელშეკრულების მიმდინარეობისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.
- უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადეკვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
- მიაწოდოს „მიმწოდებელს“ არსებული შენობა/ნაგებობების აზომვითი ნახაზები, ასევე ნაკვეთის საკადასტრო კოდი და წითელი ხაზების რუქა.
- მიაწოდოს სრული და დროული ინფორმაცია პროექტირებისათვის.
- გაითვალისწინოს ხელშეკრულებით დადგენილი საპროექტო ფართები და ადეკვატურად მოითხოვოს "მიმწოდებლისგან" საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა დაწესებულების პაციენტების, თანამშრომლებისა და განყოფილებების რაოდენობის შესაბამისად.

## 8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

- აწარმოოს გაწეული სამუშაოს ხარისხის კონტროლი;
- აწარმოოს შესრულებულ სამუშაოთა ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი როგორც გეგმური, ასევე მიმდინარე;

- განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდით.

9.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

გ) ეპიდემიები;

დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

9.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

9.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

9.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებული არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

9.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

9.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

9.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდე გონივრულ ვადებში.

## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა დონე უნდა იხმარონ, რათა მოლაპარაკებებით შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს/კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: 1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის შტატგარეშე მუშაკი, - დავით ცუცქირიძე; 2. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - გია კაკუშაძე; 3. ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - ნანა შატბერაშვილი. ასევე შემსყიდველი უფლებამოსილია მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები.

15.3. შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების შესრულების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის წარმოდგენის ვადების დარღვევა შეიძლება გახდეს შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებელზე საჯარიმო სანქციების ამოქმედების საფუძველი, ხოლო მსგავსი დარღვევების განმეორების შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

15.4. შემსყიდველის მიერ გაწეული მომსახურების კონტროლი განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ასევე შემსყიდველის მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

15.5. ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზები მიმწოდებელმა უნდა აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით გონივრულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

## 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 1 მაისის ჩათვლით.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

17.2. ხელშეკრულება შეიძლება ცალმხრივად შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.


18. დასკვნითი პირობები

18.1. ხელშეკრულებას თან ახლავს ხელშეკრულების დანართი №1 და დანართი №2, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

18.2. ხელშეკრულება და დანართები შედგენილია 3 ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი - მიმწოდებელთან.

„შემსყიდველი“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის სამინისტრო  
საიდენტიფიკაციო კოდი: №211333957  
ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. N144  
სახელმწიფო ხაზინა  
ბანკის კოდი: TRESGE22;  
ა/ა N200122900



„მიმწოდებელი“

შპს „მედმშენი“  
საიდენტიფიკაციო კოდი №404863108  
ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N29ა  
სს „ვითიბი ბანკი“  
ბანკის კოდი UGEBGE22  
ანგ. №GE94VT7000000100003605

ე. ჯეგინაძე  
ეკატერინე კობახიძე  
დირექტორის მოვალეობის  
შემსრულებელი

## „დაბა ხარაგაულის მრავალპროფილიანი საავადმყოფო“

საავადმყოფოს შენობის მშენებლობის/მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობა

ობიექტის დასახელება – „დაბა ხარაგაულის მრავალპროფილიანი საავადმყოფო“

ობიექტის მისამართი – დაბა ხარაგაული, გაიოზ დედარიანის ქ. N8-ს მიმდებარე ტერიტორია

1. დასაპროექტებელი ობიექტის აღწერილობა და ტექნიკური მონაცემები
  - 1.1. საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილ უნდა იქნას მოქმედი კანონმდებლობით („მშენებლობის ნებართვის გაცემის და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება) განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად და დასაპროექტებელი ობიექტის მიმართ სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით.
  - 1.2. საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს მოქმედი კანონმდებლობით („მშენებლობის ნებართვის გაცემის და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება) განსაზღვრულ ყველა ეტაპს, მათ შორის ქალაქმშენებლობით პირობებს, შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს, მშენებლობის ნებართვას.
  - 1.3. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისათვის საჭირო მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახდელების (მოსაკრებელი და სხვა) გადახდას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
  - 1.4. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვროს დღეისათვის საქართველოში მოქმედი ნორმატივების და ინსტრუქციული მასალების, ლოკალურ-რესურსული მეთოდით, საბაზრო ფასების გათვალისწინებით, ზედნადები ხარჯების, გეგმიური დაგროვების და გაუთვალისწინებელი ხარჯების ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში ლიმიტირებული დანახარჯების გამოყენებით.
2. საპროექტო სამუშაოების შემადგენლობა:
  - 2.1. „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს:
    - 2.1.1. ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
    - 2.2. შემდეგი დოკუმენტების მომზადება:
      - 2.2.1. პროექტი:
        1. არქიტექტურული ნაწილი; მუშა დოკუმენტაცია (მუშა ნახაზები);
        2. კონსტრუქციული პროექტი;
        3. ელექტრომომარაგების პროექტი;
        4. სუსტი დენების პროექტი;
        6. წყალგაყვანილობა-კანალიზაციის პროექტი;
        7. გათბობა-გაგრილების პროექტი;
        8. სამკურნალო აირების პროექტი;
        9. ვენტილაციის და კონდიციონირების პროექტი;
        10. ტერიტორიის კეთილმოწყობის ვერტიკალური გეგმარების
        11. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, გაანგარიშებული ლოკალურ-რესურსული მეთოდით;
        12. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი სამუშაოების წარმოების გეგმა-გრაფიკი;
        13. ემერჯენსის შენობის, რომელიც აშენდება ე.წ. სენდვიჩ-პანელებით, ფუნქციონალური კავშირი დასაპროექტებელი საავადმყოფოს შენობასთან.
3. პროექტირებისას გასათვალისწინებელი უნდა იყოს შემდეგი ტექნიკური მოთხოვნები:
  - 3.1. განსათავსებელი საავადმყოფოების შესაბამისი პროფილით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა მოქმედი ნორმების შესაბამისად.
  - 3.2. კლინიკის სპეციფიკიდან გამომდინარე გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა საჭირო კომუნიკაციის გამხოლოებული მოხმარების საშუალება.
  4. პროექტირების განსაკუთრებული პირობები
    - 4.1. პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის მისაღებად მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები.
    - 4.2. მიმწოდებელი უზრუნველყოფს მშენებლობისთვის საჭირო ნებართვების მომზადებას.

საავადმყოფოს სტრუქტურა

დაბა ხარაგაულის მრავალპროფილური საავადმყოფო 10 საწოლზე

სამედიცინო-ტექნიკური დავალება

1. მთავარი ვესტიბული

- რეგისტრატურა, არქივით;

2. სტაციონარი:

საპალატე სექცია -- 10 საწოლზე, აქედან:

- ქირურგიული და თერაპიული 2 საწოლი;

- პედიატრიული 4 საწოლი;

- ინვალიდთა 1 საწოლი;

- პოსტოპერაციული 1 საწოლი;

- რენიმაციური 1 საწოლი;

- იზოლატრი 1 საწოლი;

- მორიგე ექთნის პოსტი;

- შესახვევი;

- საორდინატორი;

- ხელმძღვანელის კაბინეტი;

- პერსონალის ოთახი (ყავა, ჩაი);

- პაციენტთა საბუფეტო.

3. საოპერაციო ბლოკი 1 საოპერაციოზე:

- შლუზი;

- პერსონალის სანგამტარები, საშხაპეებით;

- პაციენტთა მოსამზადებელი;

- წინასოპერაციო;

- 1 საოპერაციო.

4. ადმინისტრაციის და საყოფაცხოვრებო და სამეურნეო სათავსოები:

- 2 ადმინისტრაციული ოთახი;

- სასტერილიზაციო;

- სამრეცხაო;

- პერსონალის გარდერობები, საშხაპეებით.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის სამინისტრო

შპს „მედმშენი“

საიდენტიფიკაციო კოდი № 338957

საიდენტიფიკაციო კოდი № 404863108



ე. კუბიძე  
ეკატერინე კობახიძე  
დირექტორის მოვალეობის  
შემსრულებელი

ხელწერილი

„26“ „12“ 2014 წ. თბილისი.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ რომ, შპს „მედმშენი“-ს მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

ვიზა: დ. ლომიძე

ი. ბიბილაშვილი

ი. ტარასაშვილი

გ. კაკუშაძე

ი. აბრამიშვილი

